

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №426

2010 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესი და პირობები თანდართულ დანართებთან ერთად.

მუხლი 1¹. მიეცეს უფლება სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ამ დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტიდან გამონაკლისის სახით ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა გასცეს:

ა) საერთაშორისო სამგზავრო მიმოსვლის შეჩერების ან საერთაშორისო მიმოსვლასთან დაკავშირებული შეზღუდვების არსებობის პერიოდში, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული დისტანციური ინსპექტირების საფუძველზე, რომლის წესს განსაზღვრავს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო;

ბ) ამ დადგენილების ამოქმედებიდან 60 (სამოცი) დღის განმავლობაში, ადგილზე ინსპექტირებისა და კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული დისტანციური ინსპექტირების გარეშე, არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში არსებული ქვეყნის იმ საწარმოდან იმპორტირებულ პროდუქციაზე, რომელსაც სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ჩატარებული ვეტერინარულ-ინსპექტორული კონტროლის საფუძველზე ჰქონდა იმპორტის განხორციელების უფლება ერთი წლის ვადით და ეს ვადა ამოიწურა 2020 წლის პირველი მარტიდან ამ დადგენილების ამოქმედებამდე პერიოდში.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის დადგენილება №215 – ვებგვერდი, 03.04.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 1 ივლისის დადგენილება №397 – ვებგვერდი, 02.07.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №771 – ვებგვერდი, 23.12.2020წ.

მუხლი 2. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გარდამავალი პერიოდისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურების მიერ ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 18 აგვისტოს № 143 დადგენილება.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ნ. გილაური**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი არეგულირებს გარდამავალი პერიოდისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტს და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებსა და ნებართვის მაძიებელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს შორის.

[მუხლი 1. ზოგადი დებულებები

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესი და პირობები“ (შემდგომში – წესი) არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის/ტრანზიტისა და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. (ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან)]



მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- 1. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია – ყველა სახის ცხოველი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტი და ნედლეული, ცხოველთა საკვები, საკვებდანამატები, ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატები.
- 2. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქცია – ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია, მასალა და ობიექტი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საკარანტინო ორგანიზმების გავრცელება.
- 3. ცხოველთა საკვები – საწარმოო წესით მიღებული ცხოველთა საკვები.
- 4. საკვებდანამატები – ბუნებრივი ან სინთეზირებული ნივთიერებები, ნაერთები, რომლებიც გამიზნულად შეაქვთ ცხოველთა საკვებში მათი ორგანოლეპტიკური თვისებების გასაუმჯობესებლად ან შენახვის ვადის გასახანგრძლივებლად.
- 5. ცხოველური წარმოშობის პროდუქტები – დაკლული ცხოველებისაგან მიღებული ყველა სახის საკვები პროდუქტნედლეული: ხორცი, ხორცპროდუქტები, საწარმოო წესით მიღებული ძეხვეული და კონსერვები, სუბპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, ფრინველის ხორცი და კვერცხი, თევზი და თევზეული, თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტები.

[მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია – ცხოველი, ცხოველური პროდუქტი, ცხოველის საკვები;
- ბ) ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქცია – ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია, მასალა და ობიექტი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საკარანტინო ორგანიზმების გავრცელება;
- გ) ცხოველი – ნებისმიერი ხერხემლიანი თუ უხერხემლო ცხოველი (ყველა სახეობის ცხოველი, ფრინველი, თევზი, ფუტკარი, წყალხმელეთა ძუძუმწოვარი, ამფიბია, კიბოსნაირი, მოლუსკი, საინკუბაციო კვერცხი, განაყოფიერებული ქვირითი);
- დ) სასურსათო დანიშნულების ცხოველი – სურსათის წარმოების/სურსათად გამოყენების მიზნით გაზრდილი, მოშენებული, შენახული, მონადირებული, დაკლული ან შეგროვებული ცხოველი;
- ე) შინაური ბინადარი ცხოველი – ნებისმიერი სახეობის ცხოველი, რომელიც ექვემდებარება ადამიანის მიერ მოვლას და რომელსაც არ იყენებენ სურსათის (მათ შორის, ხორცის, რძისა და კვერცხის), ბეწვის, ბუმბულის, ტყავისა და სხვა ნებისმიერი ცხოველური პროდუქტის საწარმოებლად;
- ვ) ცხოველის საკვები – ნებისმიერი ნივთიერება/სუბსტანცია ან პროდუქტი, მათ შორის, დანამატები, გადამუშავებული, ნაწილობრივ გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი, რომელიც გამიზნულია ცხოველის ორალური კვებისათვის;
- ზ) ცხოველური პროდუქტი – ცხოველური წარმოშობის სურსათი, აგრეთვე ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი;
- თ) ცხოველური წარმოშობის სურსათი – ადამიანის საკვებად განკუთვნილი გადამუშავებული პროდუქტი ან გადაუმუშავებელი პროდუქტი, აგრეთვე გადამუშავებული პროდუქტის შემდგომი გადამუშავებით მიღებული პროდუქტი, რომელიც მიიღება სასურსათო დანიშნულების ცხოველისგან;
- ი) ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი – ცხოველის სხეული ან ცხოველის სხეულის ნაწილი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტი ან ცხოველისგან მიღებული სხვა პროდუქტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, მათ შორის, ოციტი, ემბრიონი და სპერმა;
- კ) ავტორიზებული ქვეყანა – ექსპორტიორი ქვეყანა ან ექსპორტიორი ქვეყნის ნაწილი, საიდანაც ნებადართულია საქართველოში ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტი, ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროდუქციის თითოეული სახეობისთვის დამახასიათებელი შესაბამისი მოთხოვნების შესაბამისად. (ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან)

მუხლი 3. სანებართვო საქმიანობის სახეები

- სანებართვო საქმიანობის სახეებია:
- ა) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტი (დანართი №1);
- ბ) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტი (დანართი №2);
- გ) ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტი (დანართი №3).

[მუხლი 3. სანებართვო საქმიანობის სახეები

სანებართვო საქმიანობის სახეებია:



ა) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ტრანზიტის (დანართი №1);

ბ) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის (დანართი №2);

გ) ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტი (დანართი №3). (ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან)

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №165 – ვებგვერდი, 16.03.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 21 აგვისტოს დადგენილება №268 – ვებგვერდი, 22.08.2024წ.

მუხლი 4. ნებართვის გამცემი ორგანოები

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტისა და იმპორტის ნებართვისა და ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოებია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – ეროვნული სააგენტო) ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური).

[მუხლი 4. ნებართვის გამცემი ორგანოები

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის/იმპორტის ნებართვისა და ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოებია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – სამსახური). (ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან)

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №165 – ვებგვერდი, 16.03.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 21 აგვისტოს დადგენილება №268 – ვებგვერდი, 22.08.2024წ.

მუხლი 5. ნებართვის მისაღებად წარსადგენი საბუთები

1. ნებართვის მისაღებად წარსადგენი ძირითადი დოკუმენტაცია და პირობები განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

2. ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის მაძიებლის განცხადება აგრეთვე უნდა შეიცავდეს ექსპორტიორი ქვეყნისა და შემოსატანი ტვირტის დასახელებას, რაოდენობას, მოძრაობის მარშრუტს, მისი მიღების ადგილს, ხოლო ეტაპობრივად შემოტანის შემთხვევაში – თითოეული პარტიის რაოდენობასა და შემოტანის ვადას.

3. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტისა და იმპორტის ნებართვის მაძიებლის განცხადებას აგრეთვე უნდა ერთოდეს საბუთი პროდუქციის სახეობის, რაოდენობის, იმპორტიორი ან სატრანზიტო ქვეყნისა და ტრანსპორტირების მარშრუტის შესახებ, ცოცხალი ცხოველების იმპორტის შემთხვევაში (გარდა არაკომერციული დანიშნულების შინაური ბინადარი, საკლავი, საგამოფენო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე ცხოველებისა) – კანონმდებლობით დადგენილი იმპორტირებული და ექსპორტისთვის განკუთვნილი ცხოველების საკარანტინო სადგომის შესაბამისობის აქტი, ხოლო ბიოლოგიური და სამკურნალო პრეპარატების იმპორტისას – სარეგისტრაციო მოწმობა.

3¹. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვის მაძიებლის განცხადებას, ფრინველის მექანიკურად განცალკევებული ხორცის იმპორტის შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საბუთებისა, ასევე უნდა ერთოდეს ექსპორტიორი ქვეყნის აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული სალმონელაზე (Salmonella) გამოკვლევის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი თითოეულ პარტიაზე.

4. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა გაიცემა ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ ცხოველთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წყლისა და ხმელეთის ცხოველთა ჯანმრთელობის საერთაშორისო კოდექსებით დადგენილი ნიმუშის შესაბამისი ვეტერინარული ან ჯანმრთელობის სერტიფიკატის ასლის წარდგენის საფუძველზე, ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ პროდუქციის დამზადების ადგილზე/ცოცხალი ცხოველის ადგილსამყოფელზე კონტროლის განხორციელების გარეშე, შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პროდუქციის იმპორტი ხორციელდება იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არ არის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საშიში ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების გავრცელების გამო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში;

ბ) თუ პროდუქცია წარმოშობილია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ევროპის ეკონომიკური ზონის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, შვეიცარიაში, ისრაელში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში;

გ) თუ პროდუქცია წარმოშობილია საწარმოებში, რომელთა ნუსხა, დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის გარანტიების საფუძველზე, დამტკიცებულია ევროკომისიის სამართლებრივი აქტით (ევროკომისიის ვებგვერდზე მითითებული ქვეყნებისა და პროდუქციის ჩამონათვალის გათვალისწინებით);

დ) ცირკის, სამხეცის, ზოოპარკის, კულტურულ, სპორტულ და საგამოფენო ღონისძიებებში მონაწილე ცხოველების იმპორტისას, ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს



მიმართვის საფუძველზე ცოცხალი ცხოველების იმპორტისას, მათი სახეობების საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებაში აღდგენის (რეინტროდუქციის, რესტოკინგის) მიზნით.

5. საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საშიში ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების გავრცელების გამო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში არსებული ქვეყნებიდან (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევისა) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა გაიცემა ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ ცხოველთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, წყლისა და ხმელეთის ცხოველთა ჯანმრთელობის საერთაშორისო კოდექსებით დადგენილი ნიმუშის ვეტერინარული ან ჯანმრთელობის სერტიფიკატის წარდგენის საფუძველზე, მხოლოდ ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ მათი დამზადების ადგილზე/ცოცხალი ცხოველის ადგილსამყოფელზე კონტროლის შედეგების გათვალისწინებით. აღნიშნული საწარმოებიდან ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის მიზანშეწონილად მიჩნევისას, ამ საწარმოდან იმპორტი შეიძლება განხორციელდეს ერთი წლის განმავლობაში. განსაკუთრებულ შემთხვევებში (რისკის ანალიზის საფუძველზე), თუ ეროვნული სააგენტო საჭიროდ მიიჩნევს დამატებითი ინსპექტირების ჩატარებას, შესაძლებელია მისი განხორციელება ამ პუნქტით დადგენილი ვადის გასვლამდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თუ ქვეყანა ისევ რჩება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საშიში ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების გავრცელების გამო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში, იმპორტის ნებართვა გაიცემა განმეორებითი კონტროლის საფუძველზე.

5¹. იმ შემთხვევაში, თუ ერთი წლის განმავლობაში ერთი და იმავე საწარმოდან იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქტში ორჯერ აღმოჩნდება სალმონელა (Salmonella) ან/და ლისტერია მონოციტოგენეზი, ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, ამ პროდუქტის მწარმოებელი საწარმოდან ერთი წლის განმავლობაში ჩერდება „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ)“ იმ სასაქონლო პოზიციის ყველა ქვესუბპოზიციით განსაზღვრული პროდუქტის იმპორტი, რომელშიც შედის ზემოაღნიშნული პროდუქტი. ეროვნული სააგენტო მიღებული გადაწყვეტილების შესახებ შემოსავლების სამსახურს ატყობინებს 24 საათის განმავლობაში. ამასთან, ეროვნული სააგენტო გადაწყვეტილებას იმპორტის აკრძალვის შესახებ ატყობინებს შესაბამისი ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს. ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ იმპორტის ნებართვა გაიცემა ამ წესის შესაბამისად.

5². ამ მუხლის 5¹ პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება მწარმოებელი საწარმოდან იმპორტის შეჩერების შესახებ არ ვრცელდება იმ საქონელზე, რომელზეც აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე:

ა) შემოსავლების სამსახურის ან ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა;

ბ) ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულია საერთაშორისო ვეტერინარული სერტიფიკატი და პროდუქტს გადმოკვეთილი აქვს ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვარი.

6. საქართველოს გავლით ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტი ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ქვეყნებიდან არ საჭიროებს ნებართვას და ხორციელდება მხოლოდ ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული საერთაშორისო ვეტერინარული ან ჯანმრთელობის სერტიფიკატის წარდგენის საფუძველზე, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული „საშიში ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების გავრცელების გამო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში“ არსებული ქვეყნებიდან (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევისა) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურით (სეს ესნ) განსაზღვრული 01 ჯგუფის საქონლის (ცოცხალი ცხოველები) ტრანზიტი ხორციელდება მაძიებლის მოთხოვნით ნებართვის გაცემის საფუძველზე ან/და უამისოდ, მხოლოდ ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ცხოველთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წყლისა და ხმელეთის ცხოველთა ჯანმრთელობის საერთაშორისო კოდექსებით დადგენილი საერთაშორისო ვეტერინარული ან ჯანმრთელობის სერტიფიკატის და მიმღები ქვეყნის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ, ტვირთის გარანტირებულ მიღებაზე წერილობითი დადასტურების საფუძველზე.

7. (ამოღებულია – 17.05.2013, №117).
- საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 ივნისის დადგენილება №235 - ვებგვერდი, 16.06.2011წ.
 - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის დადგენილება №117 – ვებგვერდი, 21.05.2013წ.
 - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №270 – ვებგვერდი, 23.10.2013წ.
 - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება №266 – ვებგვერდი, 07.04.2014წ.
 - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 თებერვლის დადგენილება №53 – ვებგვერდი, 06.02.2017წ.
 - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 თებერვლის დადგენილება №58 – ვებგვერდი, 06.02.2017წ.
 - საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის დადგენილება №51 – ვებგვერდი, 06.02.2018წ.
 - საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს დადგენილება №445 - ვებგვერდი, 30.08.2018წ.
 - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 ნოემბრის დადგენილება №704 – ვებგვერდი, 30.11.2020წ.
 - საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აპრილის დადგენილება №174 – ვებგვერდი, 19.04.2021წ.
 - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 მარტის დადგენილება №120 – ვებგვერდი, 11.03.2022წ.

[მუხლი 5. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტის



მოთხოვნები

1. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის/ტრანზიტის ნებართვის გაცემამდე დაცული უნდა იყოს ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

2. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევის გარდა საქართველოში ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტი/ტრანზიტი დასაშვებია, თუ:

ა) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია წარმოშობილია ავტორიზებულ ქვეყანაში ან ქვეყნის ნაწილში, რომელიც შეტანილია სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნების – ავტორიზებული ქვეყნების სიაში;

ბ) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია წარმოებულია იმ საწარმოში ან ცოცხალი ცხოველები გამოდიან იმ საწარმოდან/ფერმიდან, რომელიც ფუნქციონირებს ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ და შეტანილია სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტიორი საწარმოების სიაში;

გ) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქციას თან ახლავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატი, რომლითაც დასტურდება, რომ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია შეესაბამება ან ეკვივალენტურია ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და ხელმოწერილია სახელმწიფო ვეტერინარის ან, საჭიროების შემთხვევაში, სხვა უფლებამოსილი პირის (ორგანოს) მიერ.

3. ქვეყანიდან ან მისი ნაწილიდან (არავტორიზებული ქვეყანა ან მისი ნაწილი), რომელიც არ არის შეტანილი ავტორიზებული ქვეყნების სიაში, საქართველოს გავლით ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის (გარდა ცოცხალი ცხოველებისა) ტრანზიტი დასაშვებია ამ წესით განსაზღვრული ტრანზიტის ნებართვის საფუძველზე. **(ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან)**

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №165 – ვებგვერდი, 16.03.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 21 აგვისტოს დადგენილება №268 – ვებგვერდი, 22.08.2024წ.

მუხლი 6. ნებართვის გაცემის წესი

ნებართვის გამცემი ორგანოები ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

[**მუხლი 6. საქართველოში ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნებისა და საწარმოების სიების შემუშავების პრინციპები და კრიტერიუმები**

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნებისა და საწარმოების, მათ შორის, ფერმების სიის შედგენისას სააგენტოს მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ წესითა და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის თითოეული სახეობისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნები. **(ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან)**

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №165 – ვებგვერდი, 16.03.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 21 აგვისტოს დადგენილება №268 – ვებგვერდი, 22.08.2024წ.

მუხლი 7. ნებართვის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

ნებართვის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი განისაზღვრება შემოსავლების სამსახურისა და ეროვნული სააგენტოს ერთობლივი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

[**მუხლი 7. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნის/საწარმოს სიაში შეტანისა და ამოღების კრიტერიუმები**

1. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის საქართველოში იმპორტის მოთხოვნით ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანო მიმართავს სააგენტოს. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს:

ა) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის სახეობას, რომლის ექსპორტიც უნდა განხორციელდეს საქართველოში და რომელზეც უნდა გაიცეს იმპორტის ნებართვა;

ბ) საექსპორტო პროდუქციის რაოდენობას;

გ) ცხოველთა კატეგორიას (მაგ.: საკლავი, სანაშენე და ა.შ.);

დ) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის დამუშავების პროცესის აღწერილობას (მაგ.: თერმულ დამუშავებას);

ე) საწარმოების/ფერმების ნუსხას, საიდანაც უნდა განხორციელდეს ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის საქართველოში იმპორტი და რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სააგენტო ადასტურებს მოთხოვნის მიღებას და ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს უგზავნის მის მიერ შემუშავებულ კითხვარს.

3. ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანო წარმოადგენს შევსებულ კითხვარს, თანდართული დოკუმენტაციით.

4. სააგენტოს გადაწყვეტილებით, ინსპექტირება შესაძლებელია, ჩატარდეს სხვა ქვეყანაში სააგენტოს უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ჯანმრთელობის წესებთან შესაბამისობის ან ეკვივალენტობის დადასტურების შესამოწმებლად.



5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირება ხორციელდება საქართველოს სახელით და გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხდება საქართველოს მიერ.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განხორციელების გარეშე ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ავტორიზებული ქვეყნებისა და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტიორი საწარმოების სიებში შეტანა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია:

ა) წარმოშობილია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ევროპის ეკონომიკური ზონის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიის თანამეგობრობაში, ახალ ზელანდიაში, შვეიცარიის კონფედერაციასა და ისრაელის სახელმწიფოში;

ბ) წარმოშობილია საწარმოებში, რომელთა ნუსხა, დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის გარანტიების საფუძველზე, დამტკიცებულია ევროკომისიის სამართლებრივი აქტით (ევროკომისიის ვებგვერდზე მითითებული ქვეყნებისა და პროდუქციის ჩამონათვალის გათვალისწინებით).

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების ჩატარების პროცედურა ექსპორტიორ ქვეყანაში დგინდება სააგენტოს მიერ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქციასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ან/და ინსპექტირების დამაკმაყოფილებელი შედეგებისა და საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილი გარანტიების გათვალისწინებით, შესაძლებელია, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის ან ტერიტორიის მხოლოდ ნაწილის ავტორიზებული ქვეყნების სიაში შეტანის შესახებ. აღნიშნული მიზნით, ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული იმაზე, თუ როგორ იყენებს და ნერგავს ექსპორტიორი ქვეყანა ექსპორტისათვის გამიზნული პროდუქციის სახეობისთვის დამახასიათებელ შესაბამის მოთხოვნებს, კერძოდ, საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში და მისი სანიტარიული მოთხოვნები სხვა ქვეყნიდან იმპორტისას.

9. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ავტორიზაცია ან ტრანზიტი, სააგენტოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, შეჩერებულ ან გაუქმებულ იქნეს, თუ ავტორიზებულ ქვეყანაში ცხოველთა ჯანმრთელობის ან/და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული მდგომარეობა ამართლებს ამ შეჩერებას ან გაუქმებას.

10. იმ შემთხვევაში, თუ ერთი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე საწარმოდან იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქტში ორჯერ აღმოჩნდება სალმონელა (Salmonella) ან/და ლისტერია მონოციტოგენეზი, სააგენტოს გადაწყვეტილებით, ამ პროდუქტის მწარმოებელი საწარმოდან აღნიშნული პროდუქტის იმპორტი ჩერდება „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ)“ იმ სასაქონლო პოზიციის ყველა ქვესუბპოზიციით განსაზღვრული პროდუქტის იმპორტი, რომელშიც შედის ზემოაღნიშნული პროდუქტი. ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ იმპორტის ნებართვა გაიცემა ერთი წლის ვადით, ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შესაბამისი მოთხოვნების შესაბამისად.

11. სააგენტო შეჩერების ან გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე სამსახურს ატყობინებს 24 საათის განმავლობაში. ამასთან, სააგენტო გადაწყვეტილებას შეჩერების ან გაუქმების შესახებ ატყობინებს შესაბამისი ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს.

12. ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება მწარმოებელი საწარმოდან იმპორტის შეჩერების შესახებ არ ვრცელდება იმ პროდუქციაზე, რომელზეც აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე:

ა) სამსახურის ან სააგენტოს მიერ გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა;

ბ) ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულია საერთაშორისო ვეტერინარული სერტიფიკატი და პროდუქტს გადმოკვეთილი აქვს ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვარი.

13. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ავტორიზებული ქვეყნების ან მისი ნაწილებისა და საწარმოების შესწორებული, განახლებული სიების დროული საჯაროობა. აღნიშნული სიები შესაძლებელია, მოიცავდეს ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატების ნიმუშებს. **(ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან)**

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №165 – ვებგვერდი, 16.03.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 ნოემბრის დადგენილება №700 – ვებგვერდი, 30.11.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 21 აგვისტოს დადგენილება №268 – ვებგვერდი, 22.08.2024წ.

მუხლი 8. ნებართვის ამოქმედება და მოქმედების ვადა

1. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტისა და იმპორტის ნებართვა გაიცემა ერთი თვის ვადით.

2. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა გაიცემა არა უმეტეს ექვსი თვის ვადით.

[მუხლი 8. ნებართვის მისაღებად წარსადგენი საბუთები

1. ნებართვის მისაღებად წარსადგენი ძირითადი დოკუმენტაცია და პირობები განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით.



2. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის მაძიებლის განცხადება აგრეთვე უნდა შეიცავდეს ექსპორტიორი ქვეყნისა და შემოსატანი ტვირთის დასახელებას, რაოდენობას, მოძრაობის მარშრუტს, მისი მიღების ადგილს, ხოლო ეტაპობრივად შემოტანის შემთხვევაში – თითოეული პარტიის რაოდენობასა და შემოტანის ვადას.

3. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტისა და იმპორტის ნებართვის მაძიებლის განცხადებას აგრეთვე უნდა ერთოდეს საბუთი პროდუქციის სახეობის, რაოდენობის, იმპორტიორი ან სატრანზიტო ქვეყნისა და ტრანსპორტირების მარშრუტის შესახებ, ცოცხალი ცხოველების იმპორტის შემთხვევაში (გარდა არაკომერციული დანიშნულების შინაური ბინადარი, საკლავი, საგამოფენო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე ცხოველებისა) – კანონმდებლობით დადგენილი იმპორტირებული და ექსპორტისთვის განკუთვნილი ცხოველების საკარანტინო სადგომის შესაბამისობის აქტი.

4. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვის მაძიებლის განცხადებას, ფრინველის მექანიკურად განცალკევებული ხორცის იმპორტის შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საბუთებისა, ასევე უნდა ერთოდეს ექსპორტიორი ქვეყნის აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული სალმონელაზე (*Salmonella*) გამოკვლევის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი თითოეულ პარტიაზე.

5. საქართველოს გავლით ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტი ავტორიზებული ქვეყნებიდან არ საჭიროებს ნებართვას და ხორციელდება მხოლოდ ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ვეტერინარული ან ჯანმრთელობის სერტიფიკატის წარდგენის საფუძველზე, ხოლო ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურით (სეს ესნ) განსაზღვრული 01 ჯგუფის საქონლის (ცოცხალი ცხოველები) ტრანზიტი იმ ქვეყნიდან/ფერმიდან, რომელიც არ არის შეტანილი ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნის/საწარმოს სიაში, ხორციელდება მაძიებლის მოთხოვნით ნებართვის გაცემის საფუძველზე ან/და უამისოდ, მხოლოდ ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატის, რომლითაც დასტურდება, რომ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია შეესაბამება ან ეკვივალენტურია ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და მიმღები ქვეყნის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ, ტვირთის გარანტირებულ მიღებაზე წერილობითი დადასტურების საფუძველზე. **[ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან]**

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №165 – ვებგვერდი, 16.03.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 21 აგვისტოს დადგენილება №268 – ვებგვერდი, 22.08.2024წ.

მუხლი 9. სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი

სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი ხორციელდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

[მუხლი 9. ნებართვის გაცემის წესი

ნებართვის გამცემი ორგანოები ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. **[ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან]**

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №165 – ვებგვერდი, 16.03.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 21 აგვისტოს დადგენილება №268 – ვებგვერდი, 22.08.2024წ.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის. ნებართვის გაუქმება

პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის და ნებართვის გაუქმება ხორციელდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

[მუხლი 10. ნებართვის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

ნებართვის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი განისაზღვრება სამსახურისა და სააგენტოს ერთობლივი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. **[ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან]**

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №165 – ვებგვერდი, 16.03.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 21 აგვისტოს დადგენილება №268 – ვებგვერდი, 22.08.2024წ.

მუხლი 11. სანებართვო რეესტრი

ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან აწარმოონ უწყებრივი სანებართვო რეესტრი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად.

[მუხლი 11. ნებართვის ამოქმედება და მოქმედების ვადა

1. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტისა და იმპორტის ნებართვა გაცივმა ერთი თვის ვადით.

2. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა გაცივმა არაუმეტეს ექვსი თვის ვადით. **[ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან]**

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №165 – ვებგვერდი, 16.03.2020წ.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 21 აგვისტოს დადგენილება №268 – ვებგვერდი, 22.08.2024წ.



[მუხლი 12. სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი

სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი ხორციელდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. **(ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან)**

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №165 – ვებგვერდი, 16.03.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 21 აგვისტოს დადგენილება №268 – ვებგვერდი, 22.08.2024წ.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის. ნებართვის გაუქმება

1. პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. ნებართვის გაუქმება ხორციელდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. **(ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან)**

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №165 – ვებგვერდი, 16.03.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 21 აგვისტოს დადგენილება №268 – ვებგვერდი, 22.08.2024წ.

მუხლი 14. სანებართვო რეესტრი

ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან, აწარმოონ უწყებრივი სანებართვო რეესტრი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად. **(ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან)**

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის დადგენილება №165 – ვებგვერდი, 16.03.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 21 აგვისტოს დადგენილება №268 – ვებგვერდი, 22.08.2024წ.

დანართი №1

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 ივლისის დადგენილება №439 – ვებგვერდი, 09.07.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 ნოემბრის დადგენილება №704 – ვებგვერდი, 30.11.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 19 მარტის დადგენილება №92 - ვებგვერდი, 21.03.2024წ.

ვეტერინარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია ტრანზიტის დროს

სეს ესნ კოდი	საქონლის დასახელება	განმარტებები
1	2	3
01 ჯგუფიდან	ცოცხალი ცხოველები	
0101	ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები, ცოცხალი	ყველა
0102	მსხვილფეხა რქოსანი ცხოველები, ცოცხალი	ყველა
0103	ღორები, ცოცხალი	ყველა
0104 10	ცხვრები, ცოცხალი	ყველა
0104 20	თხები, ცოცხალი	ყველა
0105	შინაური ფრინველი, ცოცხალი, ანუ შინაური ქათამი (Gallus domesticus), იხვები, ბატები, ინდაურები და ციცრები	ყველა
0106	ცოცხალი ცხოველები დანარჩენი:	ყველა
0106 11 00	პრიმატები	ყველა
0106 12 00	ვეშაპები, დელფინები და ზღვის გოჭები (ძუძუმწოვრები Cetacea რიგისა); ლამანტინები და დიუგონები (ძუძუმწოვრები Sirenia რიგისა); სელაპები, ზღვის ლომები და ლომვეშაპები (ძუძუმწოვრები Pinnipedia ქვერიგისა)	ყველა
0106 13	აქლემები და სხვა აქლემებისნაირნი (Camelidae)	ყველა
0106 14	ბოცვრები და კურდღლები	ყველა
0106 14 10	ბოცვრები შინაური	ყველა
0106 14 90	დანარჩენი	ბოცვერი და კურდღელი, შინაური ბოცვრის გარდა
0106 19	დანარჩენი	ყველა, ძაღლებისა და კატების გარდა
0106 20 00	რეპტილიები (გველთა და კუთა ჩათვლით)	ყველა
0106 31 00	მტაცებელი ფრინველები	ყველა
0106 32 00	თუთიყუშისებრნი (თუთიყუშების, გრძელკუდა თუთიყუშების, არასა და კაკადუს ჩათვლით)	თუთიყუშები, გრძელკუდა თუთიყუშები, არასა და კაკადუს ჩათვლით
0106 33	სირაქლემები; ემუ (Dromaius novaehollandiae)	ყველა
0106 39	დანარჩენი	ფრინველები, 0105, 0106 31 00, 0106 32 00 და 0106 33 სასაქონლო პოზიციაში მითითებულის გარდა;



		მოიცავს მტრედებს
0106 41	ფუტკრები	ყველა
0106 49	დანარჩენი	დანარჩენი მწერები, ფუტკრების გარდა
0106 90	დანარჩენი	ყველა სხვა ცოცხალი ცხოველი, რომლებიც არ შედიან სხვა სასაქონლო პოზიციაში, ძუძუმწოვრების, ფრინველებისა და რეპტილიების გარდა. მოცემულ სასაქონლო პოზიციაში შედიან ცოცხალი ბაყაყები, იმის მიუხედავად, არიან ისინი ვივარიუმში ცოცხლად შენახვისათვის, თუ საკლავად - ადამიანის მოხმარებისთვის
02 ჯგუფიდან	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები	
0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაცივებული	ყველა
